GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 04 Haziran / ივნისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	7.7 %

Başbakan'ın Türkiye ziyareti
პრემიერის ვიზიტი თურქეთში

Gürcistan Başbakanı İrakli Garibashvili heyet ile birlikte Türkiye Cumhuriyeti'ne resmi bir ziyaret gerçekleştirdi. Heyette Gürcistan Dışişleri Bakanı David Zalkaliani, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Natia Turnava, Çevre Koruma ve Tarım Bakanı Levan Davitashvili, Acara Başbakanı Tornike Rizhvadze, Gürcistan Ankara Büyükelçisi Giorgi Janjgava ve Devlet İdaresi Başkanı İlya Darchiashvili yer almaktaydı.

Cumhurbaşkanı Erdoğan, Garibashvili'yi Cumhurbaşkanlığı Külliyesi'nin ana giriş kapısında törenle karşıladı.

Karşılama töreninin ardından genişletilmiş formattaki toplantıdan önce iki ülke liderlerin yüz yüze görüşme gerçekleştirildi. Irakli Gharibashvili, Gürcistan'ın egemenliğini, toprak bütünlüğünü ve NATO entegrasyon sürecini desteklediği için Recep Tayyip Erdoğan'a teşekkür etti. İki ülke arasındaki stratejik ortaklığın önemi bir kez daha dile getirildi.

Toplantı sırasında Ticareti, Ekonomi, Ulaşım ve Enerji işbirliği konuları ayrıntılı olarak tartışıldı.

Görüşme sırasında ayrıca bölgedeki devam eden süreçler ve işbirlik perspektifleri ele alındı.

Görüşmelerin ardından Irakli Gharibashvili ve Recep Tayyip Erdoğan'ın katılımıyla ortak basın toplantısı gerçekleşti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, საქართველოს ელჩი თურქეთში გიორგი ჯანჯღავა და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი.

AK YIL ZEMİN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

პრეზიდენტი ერდოღანი, პრემიერ მინისტრ ღარიბაშვილს პრეზიდენტის სასახლის შესასვლელთან, უპრეცედენტოდ მაღალი დონის ცერემონიის თანხლებით დახვდა.

გაფართოებულ ფორმატში გამართულ შეხვედრამდე ქვეყნის პირველი პირები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მიმართ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერისთვის. ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას.

დეტალურად განიხილეს სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში თანამშრომლობის საკითხები.

საუბარი ასევე შეეხო რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

GÜRTİAD Kenan Yıldırım (Pataridze) Hatıra Ormanı
გურთიადის და ქენან ილდირიმის (პატარიძე) სახელობის ბაღი

Gürcistan Türk İş İnsanları Derneği - GÜRTİAD, başkentimizin ekolojik durumu iyileştirilme ve şehrin yeşillendirmesine katkıda bulunmaya kararı verdi. Dernek Başkanı Osman Turan'ın girişimiyle ve Yönetim Kurulu kararıyla sosyal, yeşil projenin hayata geçirilmesine karar verildi.

Proje kapsamında Tiflis yakınlarında Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı Ulusal Vahşi Doğa Ajansı ile işbirliği çerçevesinde GÜRTİAD Kenan Yıldırım (Pataridze) Hatıra Ormanı dikildi. Krtsanisi Ormanında yaklaşık bir hektar alanında 500'dan daha fazla değerli dekoratif fidanları dikildi. Fidanlar arasında zeytin, ıhlamur, akçaağaç, toros sediri, mazı.

Kenan Yıldırım, pandemi döneminde hayatını kaybeden derneğimizin Onursal Başkanıdır. Onursal Başkanı Kenan Yıldırım'ın anısını yaşatmak için ormana Gürtiad Kenan Yıldırım Hatıra Ormanı adı verildi.

Pandemi nedeniyle getirilen kısıtlamalardan dolayı birkaç kez ertelenen Gurtiad Ormanı'nın açılışı 29 Mayıs'ta gerçekleştirildi. Yeşil ortamda, geleneksel Türk yemekleri ile süslenen piknik, Gürcü halk dansları ve Türk şarkıları ile renklendirdi. Sosyal sorumluluk çerçevesinde etkinliğe katılan yetimhane çocuklara hediye ve tatlılar dağıtıldı.

Etkinliğe T.C. Tiflis Büyükelçisi Sn Fatma Ceren Yazgan, Gürcistan Parlamentosu Türkiye Dostluk Grubu üyeleri ve milletvekilleri Sn Beka Odisharia ve Sn Anzor Bolkvadze, Gürcistan Ulusal Enerji ve Su Düzenleme Komisyonu Başkanı Sn Davit Narmania, Gurtiad üyeleri ve diğer misafirleri katıldı.

Dernek, projeye destek veren tüm üye şirketlere, iş insanlara ve katkısı olan dost kurumlara teşekkür eder, projenin ana sponsoru olan AGRONET, AK YIL ZEMİN, ARKAS GEORGİA, EFES GEORGİA ve ŞİŞECAM şirketlere ise derin ve içten şükranları sunuyor.

თურქ ბიზნესმენთა ასოციაციამ საქართველოში - გურთიადმა, მიზნად დაისახა წვლილი შეეტანა ჩვენი ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გამწვანებაში. ასოციაციის თავმჯდომარის ოსმან თურანის ინიციატივით და მმართველი საბჭოს ჩართულობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოციალური, მწვანე პროექტის განხორციელებისა, რომლის ფარგლებშიც თბილისთან ახლოს გურთიადის ტყეპარკის გაშენება დაიგეგმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, კრწანისი ტყე პარკში ერთი ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე გურთიადის და ქენან ილდირიმის (პატარიძე) სახელობის ბაღი გაშენდა, სადაც დაირგო ისეთი დეკორატიული ტიპის ძვირფასი ნერგები როგორიც არის: ზეთისხილი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, იფანი, ჰიმალაის კედარი, ტუია.

გაშენებულ ბაღს, პანდემიის დროს გარდაცვლილი ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის ქენან ილდირიმის სახელი მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ ეწოდა.

პანდემიის გამო რამდენჯერმე გადადებული გურთიადის ტყის საზეიმო გახსნა 29 მაისს გაიმართება. მწვანე გარემოში თურქული ტრადიციული კერძებით გაფორმებული პიკნიკი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებითაც იყო დატვირთული. ისევ და ისევ სოციალური პასუხიმგებლობის ფარგლებში ღონისძიებაზე მოწვეულ თბილისის ბავშვთა სახლის მზრუნველობა მოკლებული ბავშვებს საჩუქრები და ტკბილეული დაურიგდათ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თურქეთის ელჩი საქართველოში ქ-ნ ფატმა ჯერენ იაზგანი, საქართველოს პარლამენტის თურქეთის მეგობრობის ჯგუფის წევრები და დეპუტატები ბექა ოდიშარია და ანზორ ბოლქვაძე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავჯდომარე დავით ნარმანია, გურთიადის წევრები ოჯახებთან ერთად და სხვა სტუმრები.

ასოციაცია მადლობას უხდის ყველა წევრ კომპანიას, ბიზნესმენს და მეგობარ ორგანიზაციებს პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს პროექტის მთავარი სპონსორი კომპანიების: აგრონეტის, აქ ილ ზემინის, არკას ჯორჯიას, ეფეს ჯორჯიას და შიშეჯამის მიმართ.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO SAN. ve TIC. LTD ŞTİ. LC WAIKIKI ნაბეღლავი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Ukrayna Başbakanı ile görüşme
შეხვედრა უკრაინის პრემიერ -მინისტრთან

Gürcistan Başbakanı İrakli Garibashvili, Ukrayna Başbakanı Denis Shmigal'i Başbakanlık binasında törenle ağırladı. İki lider arasındaki yüz yüze görüşme sırasında Gürcistan ve Ukrayna arasındaki özel dostluk ve stratejik ortaklığı vurgulandı. Taraflar, Karadeniz bölgesindeki durumu ve bölgesel güvenlik konularını ele aldı.

Toplantıda tartışılan ana konulardan birisi Gürcistan ve Ukrayna'nın ortak sorunu - Rusya'nın oluşturduğu tehditler ve işgalin korkunç sonuçları oldu. Başbakan Gharibashvili, Ukrayna'nın egemenliğine ve toprak bütünlüğüne güçlü desteği yineledi. Bununla beraber Başbakanı Garibashvili Ukraynalı meslektaşına Gürcistan'ın egemenliğine ve toprak bütünlüğüne verdiği destek için teşekkür etti.

Taraflar, Gürcistan ve Ukrayna arasındaki ikili işbirliğinin ana yönleri, turizm ve ulaştırma alanındaki işbirliğini, ticari ve ekonomik ilişkileri ve bu konudaki mevcut perspektifleri tartıştı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალს უმასპინძლა. მთავრობის ადმინისტრაციაში პირისპირ შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოსა და უკრაინას შორის განსაკუთრებულ მეგობრობას და სტრატეგიულ პარტნიორობას. მხარეებმა შეხვედრებისას შავი ზღვის რეგიონში არსებული ვითარება და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე საუბარი საქართველოს და უკრაინის საერთო გამოწვევას - რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეებს და ოკუპაციის მძიმე შედეგებს შეეხო. ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინელ კოლეგას დაუდასტურა მტკიცე მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. აღნიშნულთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინელ კოლეგას უკრაინის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მხარეებმა საქართველოსა და უკრაინის ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, ტურიზმისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, და ამ მხრივ არსებული პერსპექტივები განიხილეს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბეღლავი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Kurumlar Arası Koordinasyon Konseyi'nin kararları
უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილები

Kurumlar Arası Koordinasyon Konseyi tarafından alınan kararına göre Gürcistan kara sınır kapılarının 1 Haziran'dan itibaren açılacağı, Gürcistan'a karayoluyla girmek isteyen kişilerin aşı sertifikası (tam doz) ve son 72 saatte temin edilmiş PCR test sonucunu beraber ibraz etmek suretiyle ya da sadece test sonucunu ibraz ederek giriş sağlayabileceği; bununla beraber, aşı sertifikası bulunmayan kişilerin Gürcistan'a girişlerinin üçüncü günü ilave bir PCR testi olmaları gerekeceği. Ülkeye karayoluyla giriş yapacakların ayrıca kovid ile ilgili vakaları da kapsayan sağlık sigortası yaptırmaları önerilir. Hava sınırını geçme durumunda olduğu gibi, bir başvuru formu doldurmanız ve bir onay kodu almanız gerekecektir.Bahsekonu formun bağlantısı aşağıda ihtiyaten tekrar sunulmaktadır:

https://registration.gov.ge/pub/form/8_protocol_for_arrivals_in_georgia/tk6157/

Gürcistan Sarp sınır kapısının (Gürcistan saati ile) 10:00-20:00 saatleri arasında hizmet vereceği. Ayrıca 1 Haziran'dan itibaren yemek tesislerindeki kısıtlamalar kaldırılacak, özellikle hafta sonları kapalı alanlarda misafir kabul edebilecekler; Düğünler, ziyafetler veya diğer çeşitli yıldönümleri gibi sosyal etkinliklerin düzenlenmesine ilişkin kısıtlamalar yürürlükte kalmaya devam etmektedir.

Koordinasyon Konseyi göre, çiftçilere tarım ürünlerinin satış sürecinde destek olmak amacıyla gece saatlerinde getirilen hareket kısıtlaması 1 Hazirandan dan itibaren 23:00 ile 04:00 saatleri arasında geçerli olacak.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი ივნისიდან, გაიხსნა სახმელეთო საზღვრებზე დაწესებული შეზღუდვა. სახმელეთო საზღვრის კვეთა შესაძლებელი იქნება სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტით და PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით; ან მხოლოდ ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით და ამ შემთხვევაში, პირი ვალდებული იქნება, მესამე დღეს განმეორებით ჩაიტაროს PCR-ტესტირება. ამასთან, საბჭო ვიზიტორებს მიმართავს რეკომენდაციით, საზღვრის კვეთისას თან ჰქონდეთ ჯანმრთელობის დაზღვევა. ისევე როგორც საჰაერო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, აუცილებელია აპლიკაციის შევსება, რის შემდეგაც მოგივათ დამადასტურებელი კოდი. აპლიკაციის ბმული:

https://registration.gov.ge/pub/form/8_protocol_for_arrivals_in_georgia/tk6157/

სარფის საზღვრის მომსახურების საათებია: 10: 00-20: 00 (საქართველოს დროით). გარდა ამისა, 1-ლი ივნისიდან, იხსნება კვების ობიექტებთან მიმართებაში მოქმედი შეზღუდვა, კერძოდ, მათ საშუალება ექნებათ, სტუმრები შაბათ-კვირას დახურულ სივრცეშიც მიიღონ. ძალაში რჩება შეზღუდვა ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი, ბანკეტი თუ სხვადასხვა სახის იუბილე.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის პროცესში ფერმერთა მხარდაჭერის მიზნით, ღამის საათებში გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა 23:00-04:00 საათამდე პერიოდში იმოქმედებს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში

Mayıs 2021'de bir önceki aya göre Gürcistan'da enflasyon %0.7 yıllık enflasyon oranı ise %7.7 olarak teşkil etmiştir.
2021 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7% ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7.7% შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 3.3% ↑
   - Yağlar / ზეთი და ცხიმი - 42.7% ↑
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 8.0% ↑
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 13.7% ↑
   - Balık / თევზეული - 7.6% ↑
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 8.0% ↑
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 7.2% ↑
   - Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 6.0% ↑
   - Sebze / ბოსტნეული - 23.3% ↓
   - Meyve / ხილი - 20.9% ↓
2. Ulaşım / ტრანსპორტი - 17.4% ↑
3. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 6.6% ↑
4. Sağlık / ჯანმრთელობის დაცვა - 13.4% ↑



Covid – 19

Önceki haftalara kıyasla, Gürcistan'da korona virüs vaka sayısı biraz azaldı. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 5868'e ulaştı (ortalama: 838 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 347 762'e ulaştı. Can Kaybı – 4876, iyileşenlerin sayısı – 331 680, aktif vaka ise – 11 206. Halihazırda hastanelerde 3516, otellerde ise 619 kişi tedavi görüyor, 27 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %2.59'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %3.06'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %2.9'e eşittir.

Gürcistan'da aşı toplam 161 947 kişiye yapıldı.
Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 172 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 172 916 356; Can Kaybı – 3 717 471; İyileşen kişi sayısı – 155 858 270. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Türkiye'de görülmüştür.

საქართველოში, წინა კვირებთან შედარებით, კორონავირუსების შემთხვევების რიცხვი მცირედ შემცირდა. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 5868-ს უტოლდება (838 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 347 762 შეადგინა, გარდაიცვალა 4876, გამოჯანმრთელდა 331 680, ხოლო 11 206 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 3516 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 619 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 27 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 2.59%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 3.06%, ხოლო 7 დღის 2.9%.

საქართველოში ჯამურად აცრა 161 947 ადამიანს ჩაუტარდა.
კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 172 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 172 916 356 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 3 717 471, ხოლო გამოჯანმრთელდა 155 858 270 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთსა და თურქეთს ჰყავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1524 TRY/GEL – 0.3654 EUR/GEL – 3.8425 GBP/GEL – 4.4723

USD/GEL

28 - 04 Haziran 2021

USD/TRY

28 - 04 Haziran 2021

TRY/GEL

28 - 04 Haziran 2021

BTC – 39 850.04

28 - 04 Haziran 2021



AK YIL ZEMİN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası